

საქართველოს კონსტიტუციური კანონი

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციაში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995წ., №№31-33, მუხლი 668) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 51¹-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 51¹

1. პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, გარდა:

- ა) პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში;
- ბ) პარლამენტის მიერ კონსტიტუციის 63-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას;
- გ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;
- დ) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში

2. თუ პრეზიდენტმა 4 წლის განმავლობაში ორჯერ დაითხოვა პარლამენტი, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ტარდება ერთდროულად, არჩევნების დღეს ნიშნავს პრეზიდენტი.“.

2. 70-ე მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9. პრეზიდენტის მორიგი არჩევნების პირველი ტური ეწყობა უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 3 კვირით ადრე.

3. 73-ე მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან; პარლამენტის თანხმობით ნიშნავს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს; იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებსა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას;“;

ბ) „ჟ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჟ) თავმჯდომარეობს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;“.

4. 104¹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. 2004 წელს არჩეული საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ჩატარდეს 2008 წლის 1 სექტემბრიდან 2008 წლის 31 დეკემბრამდე. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი